№ 23 იანვარი 30, ოთხშაბათი 1891 იანვარი 30, ოთხშაბათი № 23

გაზეთი ღირს

| თვეე | მანა კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ვერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრ-ვი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი 1877—1891

ეკატერინე ნიკოლოზის ასული ყიფიანისა და რევაზ, გასილი და პავლე ყიფიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ქმრისას და მეორენი—მამისას, როსტომ გლახას ძის ყიფიანისას, და სთხოვენ ბობრძანდნენ სოფ. ყიფიაანთ-უბანში, გორის მაზრაში, ნანსვენებულის დასაფლავებაზედ, რომელიც იქნება 31 იანვარს. (1—1)

## ა. ი. ფიურერის ცირკი

ოთხშაბათს, 30 იანვარს, გამართული იქნება არა-ჩვეულებრივი წარმოდგენა მთელის დასისა და კორდებალეტის მონაწილეობით ცირკის კასირის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენაში არტისტები აქამდე უნახველს №№ ითამაშებენ. დასასრულ წარმოადგენენ დიდად და ფრიად სასაცილო კომიკურს პანტომიმას:

მოტყუებული კასირი

ყოველ დღე გმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მლიერ დაკლებულის ფასით და სადამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, სალამოსი—8 საათზედ.

ა. ი. ფიურერის ცირკი

ოთხშაბათს, 31 იანვარს, საქველმოქმედო აზრით გაიმართება მეტად საუცხოვო და სხვა-და-სხვა ფერი წარმოდგენა. ამ წარმოდგენის შემოსავალი დანიშნულია

ღარიბთა ღამის გასათევის

ასაშენებლად დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ.

ამ წარმოდგენაში ბ. ბაქრაძის მონაწილეობით დადგმული იქნება ცოცხალი სურათები.

ჭიდაობა

კულა გლდანელსა და ნესტორ ესებუას შორის

(ქვეს სურათად გრიმით, ტანისამოსითა და ზურნით)

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სალამოს 8 საათზედ.

## ახალი ამბავი

* * * წარსულს ორშაბათს ახლად ამორჩეულნი წევრნი საფინანსო კომისიისა სახელიოდ არიან მიწვეულნი ხარჯთ-აღრიცხვისა და საზოგადო საფინანსო საქმეების განსახილველად. ვნახოთ, ასე საჩქაროზედ დაბარებულნი წევრნი ხალისიანად მივლენ, თუ უწინდელ კომისიის წევრებსავით სახელით ისახელებენ მხოლოდ და სახრავით-კი ყურადღებასაც არ მიაქცევენ იმ შესანიშნავს საქმეებს, რომელთა გადაწყვეტაც იმათა აქეთ მინდობილი და რომელთა შორისვეა აგრეთვე ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

* * * გუშინდელ დღისთვის დანიშნული კრება საეურნეო საზოგადოებაში ვერ შესდგა, რადგან ვ. ა. სტაროსელსკი ავად შექმნილა და ამის გამო თავისი მოხსენება ველარ წაუკითხავს.

* * * ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრებამ ამ თთვის 25 დაადგინა სამადლობელი დიპლომი გაუგზავნოს გერმანიის კანცლერად ნამყოფ თავად ბისმარკს, რომელსაც კანცლერობის დროს გადაუცია გერმანიის შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებისთვის თავისი აზრი ებრაელთა წესით პირუტყვების დაკვლის შესახებ. ამის გამოვე გერმანიაში გამოსცეს ცირკულიარი რომელიც დაჰგზავნეს შვეიცარიასა, იტალიასა, საფრანგეთსა, ავსტრი-ვენგრიასა და რუსეთშიაც. ამ ცირკულიარში მოხსენებულია წვლილად ის ტანჯვა-წვალება, რომელსაც აყენებენ პირუტყვს დაკვლის დროს. ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ, რადგანაც აქაც ებრაელთა წესით საქონლის ხოცვის შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი, სთხოვა ბერლინის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას ეს ცირკულიარი. საზოგადოებამ ამ დღეებში მიიღო ბერლინიდგან თავ. ბისმარკის ცირკულიარი.

* * * სომეხთა პატრიარქ-კათალიკოზი მაკარი მძიმედ ავად გამხდარა და ამიტომ მისი უწმინდესობა პეტერბურგში აღარ წავა, ეს მოგზაურობა სრულიად გადადებულ იქმნა.

* * * მის იმპერატორებითი უდიდებულესობის კარის კამერგერმა პ. ვ. ჟუკოვსკიმ დეპეშით აუწყა ამ თთვის 28 ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების თავმჯდომარე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს პავლე შამირის ძე მელიქ-ბეგლიაროვს, რომ იგი და მისი ამხანაგი მიხეილ ივანეს ძე სერგეევი რუსეთის ამ გვარ საზოგადოებათა კრებამ ამოირჩია რუსეთის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების საპატიო წევრად. ხოლო ტფილისის საზოგადოების საპატიო წევრი ი. ს. ბოგდანოვ-ტერეგულოვი-კი კრებამ ჯილდოზე წარადგინა მინისტრთანაო.

* * * ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „Нов. Обоз.“-ს: შაბათს, სალამოს 9 საათზედ, სასტუმრო „იტალიში“ ბილიარდს თამაშობდა სხვათა შორის ნიკოლოზ ფილიპეს ძე პაპოვი, ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნებში მომუშავე. თამაშობის დროს პაპოვი ერთს წუთას ქუჩაზედ გამოვიდა, მაგრამ აქ ორჯელ რევოლვერი დაახალეს და ისევ შიგნით შევარდა. შიგნითვე შეჰყვა ვიღაც ოსი, რომელმაც აქაც სამჯერ ესროლა რევოლვერი და შემდეგ, რაკი ჰნახა, რომ პაპოვი უძრავად ჰგდია იატაკზედ, არხეინად ჩაიდო ჯიბეში იარაღი და თავისს გზას გაუდგა. თუმცა სასტუმრო ამ დროს სავსე იყო ხალხით, მკვლელი არავინ შეაწუხა და არავინ დაიჭირა.

* * * გაზ. „Новое Время“-ს სიტყვით, კავკასიის ნამთავარ-მართებელს თავ. დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგენია მთავრობის წინაშე შავის ზღვის ოლქის კოლონიზაციის პროექტი. ეს პროექტი 1890 წ. განუხილავს მინისტრთა კომიტეტს და ზოგიერთს წვრილმანს კამათი გამოუწვევია. ამ ჟამად ეს პროექტი, მცირეოდნად შეცვლილი, სახელმწიფო საბჭოს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად.

* * * გაზ. „Кавказъ“-ის გუშინდელს ნომერში შემდეგი მოულოდნელი ამბავია დაბეჭდილი. ჩვენ გვაუწყებენო, ამბობს გაზეთი: რომ ახლად ამორჩეული ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი თავს ანებებს თავისს თანამდებობას. ბ-ნი მატინოვი ამ განზრახვას შეასრულებს მხოლოდ სამის თთვის შემდეგ, რადგან ეს ხანი საჭიროა, რომ გამგეობაში მოხსენებანი წარადგინოს ზოგიერთ შესანიშნავ საქალაქო საქმის შესახებ.

## ფელეტონი

ათაბაგნი ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი.

IX *)

საათაბაგოში ქმარსა და ცოლს ორგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ, ორ მხრივ იყვნენ დაკავშირებულნი—პირადად და ქონებრივად. თვით დამოკიდებულებასა და კავშირს ამჩნევია უძველესის დროს კვალი. მაგალითებრ, აღბუღა ამბობდა, „უბრალოდ“ ცოლის დაგდება შეიძლებაო, თუმცა საეკკლესიო მოძღვრება-კი სულ სხვას აწესებდა [132]). საათაბაგოს სამართალმა თითქო არც-კი იცის, რომ ქორწინება საიდუმლო და დაურღვეველი კავშირია, და იგი ჩვეულებრივ პირობად მიაჩნია. ძველ დროსაც ყველგან ასე ყოფილა და ცოლ-ქმრობის დამრღვეველი მხოლოდ სისხლს იურვებდა. აღბუღაც მეტს არაფერს აჩენს,—„თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დაავდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი“ (მუხ. ლ). „უბრალოდ“, ე. ი. უმიზეზოდ ცოლსაც ნება ჰქონდა ქმარი დაეგდო, მაგრამ სამართალი, ცოტა არ იყოს, დიაცს ხელსაც უშლიდა—ცოლი ღირსი არაა და პირველი ნურცა აკადრებს ქმარს დაგდებასაო და თუ „ღმერთი შერისხდეს, მისითა ენა ჰრტიალობითა, უსირცხვ ნოებითა“ დაავდოს, სისხლი უზღოსო (მუხ. ლგ). უბრალოდ ცოლის დაგდება საზოგადო ჩვეულებაა, იგი რომაელთა სჯულშიაც მოიპოვება [133]) და საყურადღებოა, რომ აქამომდე დარჩენილა საათაბაგოს ერთს ადგილას, სახელდობრ აჭარაში [134]) ეხლაც ცოლის დაგდება ხშირი ამბავია თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და კერძოდ სვანეთში [135]). ამ ჩვეულებას მიზეზად დაედო წაგვრა-სყიდვა, რომლის ძალით ცოლ-ქმრობას მტკიცე იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს და დროებითი პირობაა. რასაკვირველია, თუ ცოლისა და ქმრის უბრალოდ დადგება შეიძლებოდა, მიზეზით ერთმანეთის გაშორება ხომ უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო. აღბუღაც რამდენსამე მიზეზს აღნიშნავს და მათ შორის ბოზობას. თუმცა შეიძლება ქმარი ცოლზე ნაკლები ბოზი არ იყოს, მაგრამ სამართალი ადგენდა, ბოზობისათვის მარტო ცოლი დაიგდებაო,—„თუ დიაცი ბოზი არის, ზითევიცა ბოზი იქმნებისო“ (მუხ. ლ). ეს კიდევ არაფერი. შესანიშნავი უფრო ისაა, რომ ცოლს აღკრძალული ჰქონდა ქმრისათვის ბოზობა დაეწამა და უკეთუ დასწამებდა, „ყბედი“ თავის თავს ავნებდა. ამას აღბუღა გაპირებას უწოდებს. ეს გაპირება ძალიან მიაგავს მაჰმადიანების ჩვეულებას [136]) და, ვინ იცის, იქმნება იმათ სამართლიდგანაც არის გადმოღებული. აი რა იყო ეს ჩვეულება: თუ ვისმე ცოლმა სხვა დედაკაცსა ანუ იმის ქმარს შესჩივლოს—ჩემი ქმარი „შენსა თანა არისო“, „ყბედის“ ქმარმა ეს გაიგონოს და მოწმებიცა ჰყავდეს, შეუძლიან „ყბედს და ჯეელს“ ცოლს გაეყაროსო. ასეთს თავხედს და ენა-დაუყენებელს დიაცს „ბოზობის ოდნად“ უნდა გადაეხადა სასჯელი, ე. ი. ცალიერ ზითვით გასცლოდა ქმარს, ასე რომ „არც მის ყბედის დიაცისა მეყვისნი სისხლსა თხოვასა ემართლებიან“ ქმარსაო (მუხ. ნა.). ქმრისათვის-კი სულ ერთი იყო, რამდენიც უნდა ებოზა და ეყბედა, სამართალი არა სჯიდა!..

რად მოხდა ასე?—საქმე ისაა, რომ გაპირებას კავშირი ჰქონდა ეგრედ წოდებულ ცოლის წამებასთან და ეს უკანასკნელი კიდევ აღბუღას მძიმე დანაშაულობად მიაჩნდა. თითქმის ყველგან ასე ყოფილა. ჯერ ისევ ინდოელებს და ეგვიპტელებს დიდ ბოროტებად სწამდათ სხვის ცოლის ნამუსისა და პატ[illegible]ის შებღალვა. ამ ნაირად ექცეოდნენ ქალის შეურაცხებას ძველნი ევროპიელნი და ბევრი სხვანიც [137]). რასაკვირველია, არც საათაბაგო ჩამორჩა საზოგადო ჩვეულებას და ცოლის ლეჩაქის პატივი მაღლა აღმართა. ეხლაც დიდი ღირსება სდევს ამ ლეჩაქსა და ვაი იმას, ვინც ქმრიან ქალზედ „იყბედებს“... აღბუღას თქმით, ცოლის წამება ფიცით უნდა გადაწყდეს — „თუ მტერობით შეეყივლოს, მაშინ ფიცოს არაზედა, აწ თუ არ ფიცოს, სისხლი ზღოსო“ (მუხ. რკა). მაშასადამე, ცოლის წამება, უსიამოვნობას გარდა, ზარალს აძლევდა შეწამებულს ქმარსა და აქ არის მიზეზი, რომ სამართალი სასტიკად ექცეოდა „ყბედსა და ჯეელს“ დიაცს. გაპირებასა და ცოლის წამებაში საათაბაგომ თითქო წინაც გაუსწრო საზოგადო ჩვეულებას. თუმცა სხვა ხალხთა ძველ სამართალში სიტყვით შეურაცხება ბრალად ცნობილი არაა, მაგრამ აღბუღამ სხვაფრივ დააწესა და კერძოდ ქალის შესახებ დასწერა — „თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუუროს... დიაცისა საპატიოსა უნდა გამონახვა“, გვარის პატივსა მიხედვითო (მუხ. რლა).

ბოზობისა და გაპირებისაგან ცხადად სჩანს, რომ აღბუღა საცოლქმრო დამოკიდებულებაში კაცს უფრო ჰკერძავდა, ვიდრე ქალს. რაც ქმარს შეენდობოდა, ის ცოლს ბრალად ედებოდა. სწორედ ასეთის მიმართულებისა იყო ბიზანტიის სამართალი და, უეჭველია, იმასაც გავლენა უნდა ჰქონოდა საათაბაგოს ცოლ-ქმრობის ბედზე. ამ გავლენას კერძოდ დასნეულება ამტკიცებს [138]). ბიზანტიაში ქმარს, სჯულის ძალით, შეეძლო დასნეულებულს ცოლს გაჰყროდა. აღბუღაც ამასვე ამბობს—„თუ ცოლი დასნეულდეს... გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა, რომ სიძულილით არ გაყროდეს, ნახევარი სისხლი დაუუროს“... (მუხ. რმა). მართალია, ბი-

*) იხ. „ივერია“, № 18.

[132]) М. Богословскій, стр. 108. მიზეზი განქორწინებისა მარტო მრუშობაა, და ძველად წმიდა მამანიც ამას ამბობდნენ, თუმცა შემდეგ ეკკლესიამ კანონიერად სხვა მიზეზიც აღიარა, ibid. стр. 118—119. არც მრუშობის გამო შეიძლებოდა მსწრაფლად განქორწინება—მოთმინება იქონიეთ, იქმნება მოიშალოს და ცოდვა განუტევოს მრუშმა მეუღლემა, 121.

[133]) Р. Зомъ, стр. 305—6.

[134]) დ. ბაქრაძის Арх. пут., стр. 51.

[135]) Зак. и Об. на Кав. II, 50—51 და სახელად ლიცევრა ჰქვიან.

[136]) ibid, стр. 192. მართალს ამბობს ბ-ნი მ. კოვალევსკი, Зак. и Об. на Кав. I, 140, რომ ცოლს ნება არა ჰქონდა ბოზი ქმარი დაეგდო მარტო ბოზობისათვის, მაგრამ სცდება, როცა ამის საბუთად მოჰყავს 33 მუხლი აღბუღას სამართლისა. ამ მუხლში სულ სხვა სწერია.

[137]) Совр. Об. и Древ. Зак. I. 134—5.

[138]) Зак. и Об. на Кав. I, 138: დასნეულება დაჭირიანებაა, ს. ს. ორბელიანი.

*** 28 ამ თვისას დილის 9 საათზე, დიდს წყლის საზიდ ქუჩაზედ, მანინის სახლში, უეცრად გარდაიცვალა დუშეთის მაზრის სოფ. სარბიელის მცხოვრებელი 14 წლის ალექსი ელიზბარის ძე ასაშვილი. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

## ქალაქის საბჭო

28 იანვარს

კრებას დაესწრო 58 ხმოსანი. მაყურებელი საზოგადოება ეხლაც მრავალი იყო, როგორც წინა კრებაზე. ქალაქის თავმა მოახსენა კრებას, რომ ახალს საბჭოს დააკლდა ერთი თავის წევრთაგანი, ხმოსანი ყაითმაზოვი, რომელიც ამას წინად გარდაიცვალა, და გთხოვთ პატივი სცეთ ფეხზე-ადგომით განსვენებულს ხმოსანსაო. ხმოსნები ადგნენ ფეხზედ და პატივი სცეს გარდაცვალებულს ყაითმაზოვს. მერე წაკითხულ იქმნა ოქმი წარსულის სხდომისა და საბჭო შეუდგა მორიგ საქმეს, რომელთა შორის პირველი იყო არჩევა საფინანსო და სარევიზიო კომისიის წევრთა. ქალაქის თავმა წინადადება მისცა საბჭოს, რომ ბარათებზე დასწერონ ხმოსნებმა, ვისი ამორჩევაცა ჰსურთ ან ერთსა და ან მეორე კომისიაში და, ვინც მომეტებულს ხმას მიიღებს ბარათებით, ის იყოს ამორჩეულიო. ხმოსნებმა გამოაცხადეს სურვილი, რომ საფინანსო კომისიაში იყოს ცხრა წევრი, ხოლო სარევიზიოში ხუთიო.

ხმ. იოანნისიანი. რადგან აქამომდე კომისიებში ვირჩევდით ხოლმე ხშირად წინააღმდეგ ამორჩეულ ხმოსანთა სურვილისა და საქმეს ვერ ეხმარებოდნენ ჯეროვანად, ამიტომ კარგი იქმნება ყველა ჩვენგანმა თითონვე დაასახელოს, რომელს კომისიაში უფრო მომეტებულის ხალისით იმუშავებს სასარგებლოდ ქალაქისაო.

ეს წინადადება საბჭომ არ მიიღო და ყოველმა ხმოსანმა წარადგინა თავისი სია ამოსარჩევ კომისიების წევრთა. ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნენ საფინანსო კომისიაში შემდეგი ხმოსნები: იევნენკო, მ. ი. თამამშოვი, ზუბალოვი, ი. გ. მაჩაბელი, ნიკოლაძე, ვეისენგოფი, მ. ე. მაჩაბელი, მიქელაძე და ფაღლენიშვილი. ხოლო სარევიზიო კომისიაში: ფაღლენიშვილი, შახ-აზიზოვი—კამსარაკანი, ვასილიევი, არჯევანიძე და ე. გ. მაჩაბელი.

ქალაქის თავმა წინადადება მისცა საბჭოს ამოერჩიენა წევრნი საქალაქო შენობათა კომისიისა.

ხმ. ნიკოლაძე. რადგანაც მრავალ ხმოსანთა სურვილი არის, რომ შენობათა კომისიამ თავს იდოს თვით საქმის წარმოებაც ყოველ შემთხვევაში, როდესაც-კი საჭიროება მოითხოვს რისამე აშენებასა თუ ქალაქის კეთილ-განწყობის ავ-კარგიანობას, ამიტომ მე ვსთხოვ საბჭოს ამ კომისიის ამორჩევა გადასდოს შემდეგ კრებისთვის, რომ ყველამ რიგიანად მოვიფიქროთ, რომელი ხმოსანი უფრო გამოსადეგი იქმნება ამ კომისიაში.

რადგან საბჭომ ეს წინადადება მიიღო, ამიტომ ქალაქის თავმა მოიწვია ხმოსანნი ამოსარჩევათ წევრთა იმ კომისიისა, რომელსაც საგნად აქვს განხილვა მადათოვის კუნძულის მამულებისა.

ხმ. ნიკოლაძე. მე ვერ გამიგია, რომელი საჭიროება მოითხოვდა, რომ გამგეობამ დანიშნა ასეთი საჩოთირო საქმე ჩვენის კრებათა დასაწყისშივე, როდესაც საბჭოში ამოდენა ახალი ხმოსნები შემოვიდნენ და ჯერ ამ გვარ საქმეებისა არა გაეგებათ-რა. მე გთხოვ ეს საქმე გადავდოთ, რადგან იგი შეეხება საქალაქო მამულს, რომელსაც ჰფლობდნენ სოზოროვ და რომლის ვითარება მოცულია ჯანღლითა და ბურუსით და ძნელი გამოსარკვევიც არის.

ხმ. იოანნისიანი. ტყუილად აძნელებს ბ-ნი ნიკოლაძე საქმის ვითარებას. კომისია მაინც არჩეული უნდა იქმნას და რაც მალე ამოვირჩევთ, ის სჯობია, რომ სადავო დრო არ დავეკარგოს. მაინც კომისია რა არის, როდესაც თავი და თავი საბჭოა. კომისია შეგვატყობინებს, რა მდგომარეობაშია საქმე, და მერე საბჭომ თითონ იცის, რა გზასაც დაადგება.

ხმ. ი. გ. მაჩაბელი. თვით ის გარემოება, რომ უწინდელმა კომისიამ მაგ საქმისა ვერა გამოიკვლია-რა, აშკარა საბუთია ვიფიქროთ, რომ ამისთანა შემთხვევებში თავი და თავი კომისია ყოფილა და საბჭო-კი მაგდენი არაფერი. ეხლაც რომ თვალ-დახუჭვილებმა ამოვირჩიოთ კომისიაში ისეთი წევრნი, რომელნიც კვლავ არას შეგვატყობინებენ, უფრო მოსალოდნელია, რომ ვიდასაც დავკარგავთ დავისას და საქმეც იზარალებს. ამიტომ საჭიროა ჯერ ყოველივე შევიტყოთ და მერე შესაფერი წევრნიც ამოვარჩიოთ ამ კომისიისათვის.

ქალაქის თავი. ვითარება ამ საქმისა ის არის, რომ აღრინდელი კომისია შეიკრიბა ერთხელ თუ ორჯელ და მერე მიანება თავი. საქმე გარდაეცით საქალაქო ადვოკატს, რომელმაც თავისი აზრი წარმოგვიდგინა. ეგ არის და ეგ. ამასთანავე ქალაქმა დაჰკარგა ის მიწა კუნძულისა, რომელიც ეხლა სობოროვს უჭირავს.

შემდეგ ცხარე ბაასისა, კრებამ გადასდო ამ კომისიის ამორჩევა მარტისთვის.

ხმ. ვასილიევი. ჩვენ ამ კომისიების არჩევანებსა და ხარჯთ-აღრიცხვას ვუნდებით და კიდევაც ბევრი დრო მოგვინდება ამაებზედა. ბევრი საჭირბოროტო საქმე უყურადღებოდ გვრჩება. სხვათა შორის, შარშან საბჭომ გააუქმა ნიხრი ხორაგეულობისა იმ იმედით, რომ ეგებ გაიაფდეს ეს ყოველ დღიური სახმარი ქალაქის მცხოვრებთათვის. ის-კი არა, თუ, ყასბებმა უფრო გააძვირეს ხორცი და ხაბაზებმა—პური. მე გთხოვთ შემდეგის კრებისთვის დავნიშნოთ ამ საგნის განხილვა.

ქალაქის თავი. შემდეგისთვის უეჭველად შევიტანთ სიაში მაგ საგანს.

ხმ. იოანნისიანი. როგორ შეიძლება სიაში შეტანა მაგისთანა წინადადებისა. აქამდე ყოველთვის ის იყო ხოლმე, რომ ხმოსანი მოამზადებდა მოხსენებას დასაბუთებულს და შემდეგ სიაში მოჰყვებოდა ხოლმე, რომ საგანი ყოველ მხრივ თვალ-წინა გვქონოდა.

ხმ. მიქელაძე. მერე რა იცით, რომ ხმ. ვასილიევიც სწორედ მაგრე არ მოიქცევა და მოხსენებას არ მოამზადებს.

ხმ. ზუბალოვი. ერთი წინადადების ნება მეც მიბოძეთ. წინადადება იქმნება სრულებით დაუსაბუთებელი. მე გთხოვთ ერთ დღეს ყველა ხმოსნები ერთად ავდგეთ და წავიდეთ ავჭალის ქუჩაზე იმ ადგილთან, სადაც გზა მიდის მართლ მადიდებელთა სასაფლაოსაკენ. იქ ისეთი საშინელი ტალახი დგას და ისეთი საძაგელია გზა, რომ კუბოები გადმოუვარდებათ ხოლმე ამფოანიდამ და არიან მგლოვიარენი ერთს უბედურებაში, თანაც, რასაკვირველია, ძირიან-კოკიანად აგდებენ ჩვენის ქალაქის თვით-მართველობას. უნდა როგორმე გავაკეთოთ ეს გზა.

ქალაქის თავი. ეგ გზა კაზარმებიდამ სასაფლაომდე გავაკეთეთ. რაც შეეხება ავჭალის ქუჩამდე, სახლის პატრონებმა თხოვნა შემოიტანეს, რომ ჩვენის ხარჯით მოკირწყლეთო. ამ შემთხვევაში ჩვენ წესადა გვაქვს მიღებული, რომ ვიდრე ფული სრულად არ იქნება შემოტანილი, ქვას არა ვფენავთ ქუჩებზე. სახლის პატრონებს შეჰხვდათ ას-ოც თუმნამდე გადასახადი, შემოიტანეს-კი სულ თექსმეტი თუმანი. თუ საბჭო გამოსცვლის წესს, რომლითაც ჩვენ აქამდე ვხელმძღვანელობდით, მაშინ სხვაა, და თუ არსებული წესი დარჩება, ჩვენ ვერ გავაკეთებთ ქუჩას, ვიდრე ფულს სრულიად არ შემოიტანენ.

ხმ. ვეისენგოფი. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე მე ვნახე, რომ გზაში დამტვრეულ ქვის მაგიერ აყრიან ქვაყორესა და აგურის ნამტვრევებს. საჭიროა ვიცოდეთ, რა არის მიზეზი ამისა, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვით ამაზედ ფულია გადადებული.

ქალაქის თავი. მიზეზი ის არის, რომ კახეთის გზაზე დიდრონი ღრანტეები იყო და ჩემის ბრძანებით ტეხნიკმა ეგ ღრანტეები და ორმოები ამოავსო ქვა-ყორეთი. რაიცა შეეხება თვით ქუჩას, იგი მოფენილ იქმნება ქვის ნამტვრევებით.

მ. გ. მაჩაბელი. კომისიების არჩევანებში ვართ და, გინდ სასაცილოდაც მიიჩნიოთ, მე მაინცა გთხოვთ სხვა კომისიებთან ერთად ამოვარჩიოთ აგრეთვე კომისია რომელმაც განიხილოს ხოლმე საჩივრები წინააღმდეგ გამგეობის მართველობისა და მოხელეებისა. პირველად მეც თითონ არ მეჭაშნიკა ასეთი კომისია, როდესაც ამაზედ დამიწყეს მცხოვრებლებმა ლაპარაკი, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ მათი სურვილი კანონიერია. იგინი ამბობენ, რომ ჩვენს საჩივრებს თითონ გამგეობავე განიხილავს ხოლმეო და ამ სახით თითონვეა მსაჯული იმ საჩივრისა, რომელიც მისკენ არის მიმართულიო. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ მსაჯულად დავაყენოთ კომისია, რომელმაც განიხილოს ხოლმე ამ გვარი საჩივრები წინააღმდეგ გამგეობის და მის მოხელეების მოქმედებისა.

ხმ. შახ აზიზოვი-კამსარაკანი. მე პატივი მცეს ჩემმა თანა-ხმოსნებმა და ამომირჩიეს წევრად სარევიზიო კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ანგარიშები გამგეობისა 1885 წლიდგან ვიდრე 1891 წლამდე. მე გაკვირვებული ვარ, რა მიზეზი იყო იმისი, რომ წინანდელი კომისიები არ ამოწმებდნენ და არა ჰრევიზიობდნენ გამგეობის ანგარიშებს. ვაი თუ ისეთი რამ საშინელი საქმეები იყოს მაგ ანგარიშებში, რომ ჩვენ გულები დაგვისკდეს და ხელი ვერც ჩვენ მოვკიდოთ მაგ რევიზიას...

ამ სიტყვებზე ისეთი სიცილი წასკდათ როგორც ხმოსნებს, აგრეთვე მაყურებელ საზოგადოებას, რომ კრების დახურვის მეტი აღარა დარჩენილიყო-რა და ამიტომ კრება მხიარულად დაიშალა.

---

ზანტიაში ქმარს დასნეულებულ ცოლისათვის სიკვდილამდე სასმელ-საჭმელი და ტანთ-საცმელი არ უნდა მოეკლო, მაგრამ საათაბაგოშიაც სისხლის დაურევებას სწორედ ეს ჰქონდა საგნად. ყოველ შემთხვევაში, აღბუღამ ცოტად შეცვალა დასნეულებულის მდგომარეობა—„დედაკაცი ზითევსა ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩესო". ამას ბერძნული სამართალი არ ავალებდა დიაცს. საყურადღებოა, რომ თუმცა ბიზანტიაში აღორძინდა საეკკლესიო მოძღვრება, რომელიც ამბობდა, დასნეულების გამო განქორწინება არა ჯერ არსო[139], მაგრამ იქაურმა სამოქალაქო სამართალმა მაინც თავისი არ დაიშალა და საათაბაგოსაც გადმოსცა დასნეულებულ ცოლის დაგდება.

ცოლისა და ქმრის ქონებრივი დამოკიდებულება იწყება სანიჭარით, რომელიც განსაკუთრებული საჩუქარია. აღბუღას სიტყვით, „ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედა... სამდურავისა რისათვისმე დაჭირვასა არას ემართლების" (მუხ. ლე). თუ ვინმე სანიჭარს ნებით არ გაიღებდა, სამართლით მაინც გადაახდევინებდნენ, რადგანაც „დაჭირვა" არ შეიძლებაო. შესანიშნავია, რომ ამ თავისებურს ჩვეულებას მისდევენ არა თუ ევროპასა და აზიაში, არამედ თვით აფრიკაშიაც[140] და ყველგან იგი ისევე სავალდებულო არის და ყოფილა, როგორც საათაბაგოში. რას ნიშნავს თვით ჩვეულება და საიდგან წარმოსდგა? თუმცა ამბობენ, სანიჭარი ცალიერი ნიშანია ახლად დაარსებულ სიყვარულისაო[141], მაგრამ საათაბაგოს სანიჭარს სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ურთიერთი სიყვარული ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული და სამართალს ამ შემთხვევაში საქმე არა აქვს. აღბუღა-კი სხვაფრივ ბჭობს—სანიჭარს უნებურადაც გადაახდევინებენო, და ეს ხომ სიყვარულის წინააღმდეგია. მაშასადამე, საათაბაგოს სანიჭარიც სხვა თვისებისა და ხასიათისა იყო. ამ სანიჭარსაც დასაწყისი ისევ იმ საზოგადო ჩვეულებაში უძევს, რომელსაც ცოლის სყიდვა ჰქვიან.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ სყიდვასაც ორი დრო ჰქონია და ორი გზა გაუვლია.

პირველ დროს, როგორც საქმროსა, ისე მთელს იმის გვარს, უეჭველად ყალიმი (ქალის ფასი) უნდა გადაეხადა საცოლეს პატრონისა და იმის გვარისათვის. მერე ასეთს ჩვეულებას ფერი უცვლია და ყალიმის მიცემა მხოლოდ საცოლო ვაჟისა და იმის სახლობისათვის შექნილა სავალდებულო. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ქალსაც ყალიმისაგან ცოტა რამე უნდა ჰრგებოდა. ამას გარდა, ნათესავებსაც საჩუქარი უნდა მიეცათ—ოჯახსა და საგვარეულო მამულს თავს ანებებ და საჩუქარი იმის სანაცვლო იყოსო. წინად ეს საყალიმო წილი და სანათესაო საჩუქარი შეადგენდა სანიჭარსა[142]. საათაბაგოს სანიჭარიც ასე წარმოსდგა. ამიტომ, როგორც სყიდვას, ისე სანიჭარსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა და აღბუღაც ამბობდა, „სამდურავს" ხელზედ ვერვინ დაიხვევს, სანიჭრის დაჭერა არ შეიძლებაო.. რომელ გვარს უნდა გაეღო სანიჭარი?—ამის პასუხი თვით სანიჭარის წარსულშია. სულ წინად სანიჭარი შესდგებოდა ყალიმისა და ქალის ნათესავების საჩუქრისაგან. პირველს იხდიდა ვაჟის სახლობა და გვარეულობა, მეორეს—ქალისა. მაშასადამე, სანიჭარი ვალად ედო ორსავე გვარს, მთლად ქალისა და ვაჟის ნათესაობას. ჩვენის აზრით, საათაბაგოშიაც სანიჭარი ორსავე გვარს უნდა გადაეხადა. ამას აწინდელი ჩვეულებაც ამტკიცებს. ზემო ქართლში, მაგ., ეხლაც იციან პირის სანახავი, სასძლოს დასაჩუქრება, მოყვრების პატიჟი და სხ. ხშირად ქალისა და ვაჟის ნათესავნი საქორწილო ხარჯშიაც ეწევიან ერთმანეთს. ყველა ეს იგივე სანიჭარია, თუმცა სახელი-კი სხვა-და სხვა ჰქვიან.

ჩვენ ვსთქვით, სულ ძველად სანიჭარი ქალის საკუთრებას შეადგენდაო და, უეჭველია, საათაბაგოშიაც ასე უნდა ყოფილიყო, თუმცა სამართალი პირდაპირ ამას არ ამბობს. ჟამთა ვითარების გამო, საათაბაგოს სანიჭარიც შეცვლილა და სჩანს, აღბუღას დროს, იგი მარტო ქალის საკუთრება უნდა ყოფილიყოს. ასეთს საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ ზითევი. თუმცა სანიჭარი და ზითევი სხვა-და-სხვაა, მაგრამ მათი სათავე ერთი და იგივეა,—ზითევსაც საბაბად სყიდვა და ყალიმი დაედო. საყურადღებო კიდევ ისაა, რომ ზითევი სანიჭარის შემდეგ გაჩნდა და პირდაპირ მისგან წარმოსდგა. ეს მაშინ მოხდა, როცა სანიჭარი ქალის კერძო საკუთრებას აღარ შეადგენდა და მთელს ოჯახსა და გვარს ეკუთვნოდა. ქალის კერძო საკუთრებად ზითევი შეიქმნა და საათაბაგოშიაც სწორედ ამ თვისებით განსხვავდებოდა ზითევი სანიჭრისაგან. ზითევს საერთო არა ჰქონდა-რა ქმრის სამამულოსა და სასაქონლოსთან და ამ განსხვავებამ დაჰბადა ქონებრივი განცალკევება ცოლსა და ქმარს შორის. განცალკევება თავის თავად გაჩნდა და სცდებიან, როცა ამტკიცებენ, ვითომ აქ გავლენა ჰქონდა ბიზანტიისა და რომის სამართალს[143]. ჯერ ერთი, მაჰმადიანთა სჯულიც განცალკევებას აწესებს,—დაღესტანში, მაგ., ქმარსა და ცოლს კერძო საკუთრება აქვთ[144], და მაშასადამე გადაჭრით ვერ ითქმის, ბერძნებისა და რომაელების სამართალს ჰქონია გავლენა, თუ მაჰმადიანებისას. მეორედ, ქართულს ზითევსა და საცოლ-ქმრო ქონებრივს დამოკიდებულებას საფუძველი უფრო საზოგადო ჩვეულებაში აქვს, იმ სყიდვასა და ყალიმში, რომელიც ყველგან არსებობდა და არავის კერძო ადათი არა ყოფილა. ჩვენს მთაში ეხლაც იციან სათავნო, რომელიც დიაცის საკუთრებას შეადგენს და იგივე ზითევია. ეს სათავნო ნამდვილი ეროვნული დაწესებულებაა, თუმცა, რასაკვირველია, საზოგადო ჩვეულებასაც ემსგავსება.

ყველგან ზითევი მაშინ დაარსებულა, როცა სყიდვას ნელ-ნელი თავისი ძალა და მნიშვნელობა დაუკარგავს. იმ დროს არც ქალი იყო უწინდებურად ოჯახის ნივთი და გათხოვების დროს თან ატანდნენ მთლად

139) М. Богословскій, стр. 120. დასნეულებულს უფრო პატრონობა და მოვლა არ უნდაო?!. დასნეულების გამო მხოლოდ დანიშნულის დაგდება შეიძლება, ibid., стр. 105.

140) Первобытное Право, II, стр. 133—134.

141) ibid., стр. 135.

142) ibid., стр. 107—110, 147.

143) Зак. и Об. на Кав., I, 143—4.

144) Зак. и Об. на Кав., II, 196—7

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ოსეთი, 19 იანვარი. მოგეხსენებათ, რომ კავკავში დღემდე არსებობდა ოსეთის დედათა სამ-კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც ინახავდა თავისის ხარჯით კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. ამ სასწავლებელს დიდი ხარჯი ჰქონდა და სარგებლობა-კი საიმისო არ მოჰქონდაო, იფიქრა ზემოხსენებულმა საზოგადოებამ და იანვრის პირველიდგან გააუქმა სრულიად. მის ნაცვლად მოინდომა ბარის ოსების სოფლებში ორ ალაგას გამართვა ერთ-კლასიანის დედათა სკოლებისა. ამ ორის სკოლის გამართვის შესახებ ტფილისიდგან გვეწვია კომისია, რომელშიაც სამი წევრი იყო: ინსპექტორი მღვდელ-მონოზონი მამა ლეონიდი, დეკანოზი მამა კალისტოვი და პოლკოვნიკი ბ-ნი კამაროვი. სკოლების გასამართავად კომისიამ აირჩია ორი სოფელი: ერთი თერგს გაღმა სოფელი ჩირისტონყაუ და მეორე—თერგს გამოღმა, სოფელი ხუმელაგა.

7 ამ თვეს კომისია იყო პირველ სოფელში, ჰკითხა ხალხს, გსურთ თუ არა სკოლაო. ხალხიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა და მაშინვე შენობაც იზრუნა სკოლისათვის. სოფელმა განაჩენი დაადგინა, რომ სკოლისთვის საჭირო შენობას და შეშას ჩვენ ვკისრულობთო, მხოლოდ მასწავლებელს ჯამაგირი „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ“ აძლიოსო. მეორე მესამე დღეს თერთმეტი საათი იყო, რომ კომისია მიბძანდა მეორე სოფელ ხუმელაგაში. ხალხი შეგროვილი იყო ვაჟების სკოლის წინ. სტუმრებიც პირდაპირ იქ მივიდნენ, სკოლა დაათვალიერეს და გამოცდა დაუწყეს შეგირდებს. შეგირდები, რასაც ჰკითხავდნენ, ყველანი სამაგალითოდ აძლევდნენ პასუხს, როგორც რუსულში, ისე ოსურში. შემდეგ შეგირდების გამოცდისა, კომისიის წევრნი გაერივნენ შეკრებილ საზოგადოებაში. მამა ლეონიდმა, როგორც კვლავ, ისე ახლაც ხალხს დაუწყო ტკბილი საუბარი, განუმარტა სკოლის მნიშვნელობა და სარგებლობა. აგრეთვე დეკანოზმა მ. კალისტოვმა. ხალხმაც თავიანთის მხრით მადლობა მოახსენეს ამ ნაირ კეთილ-ჩაგონებისათვის და მაშინვე სურვილი გამოაცხადეს, იმ ნაირისავე პირობით, რა პირობითაც პირველ სოფელში აარსებთ სკოლას, ჩვენც სრულიად თანხმანი ვართო. შესაბამი განაჩენიც შესდგა და საქმე დამთავრდა. შემდეგ სტუმრები მიიწვია სადილად ხუმელაგის სამრევლოს მღვდელმა ნ. ზ—ძემ. სადილზედ წარმოითქვა სადღეგრძელოები საქართველოს ეგზარხოსისა, ახალის დედათა სკოლისა და სხ. ყველა სადღეგრძელოს ზედ მოსდევდა „მრავალ ჟამიერ“ და „შირახორზაზთა“. საღამოზედ კომისია დაბრუნდა კავკავს. ინსპექტორი სკოლებისა მამა ლეონიდი დარჩა იქ სკოლების სარევიზიოდ, ხოლო დანარჩენნი წევრნი ტფილისვე გაემგზავრნენ.

11 იანვარს სოფელ ბესლანს მობძანდა კავკავის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო პეტრე, ახალის სკოლის დასათვალიერებლად. ყოვლად სამღვდელოს თან ახლდა ინსპექტორი მამა ლეონიდი და ბლაღოჩინი მამა სუხიევი. მათი მეუფება რკინის გზის მატარებლით მიბძანდა ბესლანის სადგურამდე. სადგურზედ მიეგებნენ ახლო სოფლების მღვდლები, კავკავის მაზრის უფროსი, მეორე განყოფილების უფროსი და სხვანი. აქედან გაემგზავრნენ სკოლისაკენ, სადაც მიეგებნენ ბესლანში მცხოვრები ქრისტიანი ოსები პურ-მარილით. სკოლაში ჯერ პირველად დაურიგა შეგირდებს ჯვრები, წიგნები და აგრეთვე ქრისტიან ოსებსაც დაურიგა ჯვრები. შემდეგ ყოვლად სამღვდელომ დაუწყო გამოცდა შეგირდებს. შეგირდები, თუმცა ორიოდე თვეზედ მეტი არ არის რაც სწავლობენ, მაგრამ მაინც ყველაფერში მალხაზად აძლევდნენ პასუხს ოსურად. ყოვლად სამღვდელო რუსულად ელაპარაკებოდა და ბლაღოჩინი მ. სუხიევი ოსურად უთარგმნიდა. შეგირდების გამოცდის შემდეგ მათმა მეუფებამ დაუწყო ხალხს ლაპარაკი ქრისტიანულ—საგნების შესახებ. ამ დროს ქრისტიანების გარდა, მაჰმადიანი ოსებიც ბევრნი უგდებდნენ ყურს მათ მეუფების საუბარს. ყოვლად სამღვდელომ სახალხოდ დიდი მადლობა და ლოცვა-კურთხევა გამოუცხადა იმ ბესლანში მცხოვრებ ოსს გაკას, რომელმაც თავის ხარჯით ააშენა და დაუთმო სკოლას შენობა. ქრისტიან ოსებს მისცა მწყემს-მთავრული დარიგება ეკკლესიის აღშენების შესახებ და აღუთქვა შემწეობა. შემდეგ, მათი მეუფება მამა ლეონიდი და სხვები ყავაზედ და საუზმეზედ მიიწვიეს ქრისტიან ოსის მალიყო თორჩინოვის სახლში, სადაც მომზადებული ჰქონდათ ყოველივე ესე იქ მცხოვრებ ქრისტიან ოსებს. იმ დღეს თუმცა კარგადა სთოვდა და ცუდი ამინდი იყო, მაგრამ მაინც ცუდს ამინდს არ შეუშინდა მათი მეუფება და მოინდომა სოფ. ხუმელაგაშიაც (ბესლანის სოფელზედ ხუმელაგა შვიდის ვერსით მოშორებულია) წაბძანება.

ხუმელაგაში ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ სადაც შემოსილი მღვდელი და სკოლის შეგირდები გალობით მიეგებნენ მთავარ-დიაკონის ჯანუევის ლოტბარობით, დაათვალიერა ვაჟების სკოლა და გამოსცადა შეგირდები. შეგირდებს, რაც-კი ჰკითხა მათმა მეუფებამ, ყველაში მშვენიერად მიუგეს პასუხი. შეგირდებს, როგორც ხალხსაც, ყოვლად სამღვდელომ დაურიგა ჯვრები და ზოგთ წიგნაკებიც. საღამოზედ ყოვლად სამღვდელო რკინის გზითვე დაბრუნდა კავკავს. ინსპექტორი მამა ლეონიდი-კი ხუმელაგიდგან თორმეტს იანვარს გაემგზავრა სკოლების სარევიზიოდ. როგორც სხვა დროს, ისე ეხლაც მამა ლეონიდს ეგებებოდნენ ყველა სკოლაში დიდის სიხარულით. მამა ლეონიდიც, ჩვეულებისამებრ, ტკბილად და მამაშვილურად სცდიდა შეგირდებს, ესაუბრებოდა ყველგან ხალხს და აძლევდა დარიგებას მართლ-მადიდებელ ქრისტიანულის წეს-რიგის შესახებ. ყოველივე ეს არის მიზეზი, რომ აქეთ ეს სკოლები დიდს წარმატებაშია. ვისაც-კი უნახავს ამ სამის წლის წინად ბარის ოსებში სკოლები, სწორედ გაჰკვირდება, ეხლა რომ ნახოს, ისე დიდია განსხვავება. წინანდელზე ეხლა ერთი-ორად და სამად უკეთ მიდის ბარის-ოსების სკოლების საქმე.

ქართველი ოსებში

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთში სხვათა შორის არსებობს ჟურნალი თ. ვ. ეზერსკისაც, რომელსაც „Практическая Жизнь“-ი ეწოდება. ეს ჟურნალი პეტერბურგში გამოდის და აზრად აქვს, ანგარიშიანობა ასწავლოს და ამ საქმეში განავითაროს, გაამცოდნიეროს თავისი მკითხველები. ამ მხრივ გაზეთი დღემდე, აგერ მესამე წელიწადია, ცოტად თუ ბევრად თავის აზრს ახორციელებდა, ეხლა-კი ეს პატარა წრეც არ იკმარა მოქმედების ასპარეზად, რუსეთის ჟურნალ-გაზეთობის შესახებ დაიწყო ბაასი და თავის ჟურნალის ამ წლის პირველს ნომრებში სხვა-და-სხვა ღონისძიებას ეძებს რუსეთის ჟურნალ-გაზეთობის გამოსაკეთებლად, განსაკარგებლად და განსაუკეთესებლად, ამ ჟურნალს რომ ჰკითხოთ,

სახელმწიფო სცდილობს განავითაროს და განაძლიეროს ხალხში ზნეობა, გრძნობა მოვალეობისა, პატიოსნებისა. ეს აქვთ უმთავრეს აზრად სამღვდელოებასა და სასწავლებლებს, მაგრამ იმათი ცდა ამაო იქნება, თუ ყმაწვილ-კაცობა, სასწავლებელსა და ეკკლესიას გარდა, ისაზრდოებს და იკითხავს ჩვენის ჟურნალ-გაზეთობის ისეთს წერილებს, სადაც პირდაპირ და ყრუდ კილოს გამოხმით უარყოფილია მოვალეობა მოქალაქისა და სხ. „რა მოვალეობა, რომელი საკურთხეველი სამშობლოისა, ყველა ეს სისულელეაო“, ჰხვდავენ ეს ვითომ-და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. რაღა გვინდა, ვკითხავთ კიდევ და კიდევ, მღვდლები, სასწავლებლები, თუ ჟურნალ-გაზეთობა ყოველსავე ამას ძირს გამოუთხრის?

რომელ ჟურნალ-გაზეთობაზეა აქ ლაპარაკი, ვერ მიმხვდარვართ, რადგან არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ ვიცით ისეთი მთელს რუსეთში, რომ სასწავლებლებს ძირს უთხრიდეს, უარ-ჰყოფდეს ყოველსავე კარგს. მაგრამ დავუჯეროთ ჟურნალს, რომ მაგრეა, და ვნახოთ შემდეგ რას ამბობს. ჟურნალი იმ აზრისაა, რომ ჟურნალ-გაზეთობა ძალიან დაცემულია და მთავრობა უნდა ეცადოს როგორმე იმის ფეხზედ დაყენებასა და გამოკეთებასაო. აი მუხლ-მუხლად ჩამოთვლილი ის გაზეთის მიერ ნაპოვნი ღონისძიებანი, რომელიც მთავრობამ უნდა იხმაროს და რომელმაც ფეხზედ უნდა წამოაყენოს ძირს დაცემული და დედამიწაზედ გართხმული ჟურნალ-გაზეთობა:

1) რედაქტორობის ხარისხი და უფლება რომელისამე დრო-გამოშვებითის გამოცემის ბეჭდვისა უნდა ეძლოთ და მისაჯოთ ისევე, როგორც ეძლა დოქტორობისა, მაგისტრობისა და სხ. ხარისხი ეძლევათ ხოლმე. ამ უფლებით მსურველს შეუძლიან ისარგებლოს კიდეც და არც ისარგებლოს, მაგრამ მაინც-კი ხარისხი კი უნდა მიეცეთ სამეცნიერო აკადემიის წევრთ, უნივერსიტეტთა პროფესორებს, დოქტორებს, მაგისტრებს და ცნობილს მეცნიერებსა და ლიტერატორებს.

გაზეთს ავიწყდება, რომ შეიძლება

---

ყალიმს, თუ არა-და, ნაწილს მაინც [145]). სწორედ ქართული ზითევიც ყალიმის საქმე ყოფილა. ყალიმის თვისება ეხლაც ცხადად ეტყობა საგლეხო ზითევს. ზემო ქართლში, მაგ., სასიძომ ფული უნდა მიუტანოს საცოლოს ოჯახსა და იმ ფულით ქალს ზითევს უმზადებენ.

სხვაფრივ არის მთაში. იქ ქალს პატარობიდგანვე თითონ ოჯახი აძლევს სათავნოს. ამის მიზეზი ისაა, რომ მთაში უფრო წაგვრით ირთევენ ცოლსა და ყიდვას თითქმის სრულიად არ მისდევენ. ხოლო სადაც წაგვრაც იციან და ყიდვაც, სახელდობრ დაღესტანში, იქ ზითევი ყიდვისგან წარმომდგარა.

საათაბაგოს ზითევი ორ გვარია: სამამულო და სასაქონლო (მუხ. მზ), ე. ი. უძრავისა და მოძრავის ქონებისაგან შესდგება. რომაელების ზითევიც (dos) ასეთი იყო [146]). აღბუღა განმარტავს, თუ რითი განსხვავდება სამამულო ზითევი სასაქონლოსაგან. ეს განსხვავება მარტო გარეგანი არაა. სამამულო ზითევი შეადგენდა განცალკევებულს საკუთრებას, რომელთანაც ქმარს ხელი არა ჰქონდა. როცა კაცს ცოლს მოსტაცებდნენ, სულ ერთია, ძალით თუ ნებით, სამამულო ზითევი ქალის სამშობლოს უკანვე უნდა დაჰბრუნებოდა. თუნდაც წაგვრილი ქალი შვილოსანი იყოს, მაინც ქმარს სამამულოსაგან არა ერგება რა და მთლად სამშობლოსი არისო. სასაქონლო ზითევზე ეს არ ითქმის. ამ ზითევში ქმარსაც თითქო წილი ედო. მაგ., თუ წაგვრილი დიაცი სასაქონლო ზითევს ქმარ-ყოფილის სახლში დასტოვებდა, არც დიაცსა და არც იმის სამშობლოს ნება არა ჰქონდათ ქმარყოფილისათვის გამოერთმიათ,—დიაცისა ისაა, რაც წაგვრის დროს თან წაიღოო. ამ მხრივ საათაბაგოს სასაქონლო ზითევი, ცოტა არ იყოს, მიაგავს რომაელების dos-ს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც არის [147]). ზითვის ბედსა და მომავალზე დიდი გავლენა ჰქონდა ეგრეწოდებულს შვილოსნობას. აღბუღა ამბობს, ზითვის მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, ქალს შვილი დარჩა, თუ არაო. როცა ქმარი „დასნეულებულს“ ცოლს გაეყაროს, „დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილ დარჩესო“ (მუხ. რმა). თუ დიაცი დაქვრივდეს და „შვილი არ ედგას“, „მაშინ ზითევი გაყვეს დაუკლებლად“, და როცა უშვილოსნო მოკვდეს, „მისა სამშობლოსა მართებსო“ (მუხ. პბ) [148]). შესანიშნავია, რომ საათაბაგოს სასაქონლო ზითევი, ერთს შემთხვევაში, ძველ გერმანელების ზითევს გვაგონებს. ტაციტი, მაგალითებრ, ჰმოწმობს, გერმანელებს ჩვეულებად აქვთ, ცოლმა ზითევში ქმარს იარაღი უნდა მიუტანოსო [149]). იგი ჩვეულება საათაბაგოშიაც სცოდნიათ და ამიტომ აღბუღა სწერს, თუ შვილოსანი დიაცი დაქვრივდეს, „აბჯარი შვილთა მართებსო“. ეს აბჯარი ცოლს უნდა მიეტანა ზითვად და შვილის საკუთრება იყო. დანარჩენი სასაქონლო ქვრივს ეკუთვნოდა და თუნდაც დაქვრივებული მეორედ გათხოვებულიყო, სასაქონლოს ვერავინ შეეცილებოდა. მაგრამ, როგორც უკვე შევნიშნეთ, სამამულო ზითევზე ესევე არ ითქმის: იგი შვილისაა და სამართალი ქვრივს დიაცს აცილებს—სამამულოსაგან შვილს „ნურცა რას გაუყიდის, ნურც რას გაუცემსო“.

რატომ?—სამამულო ზითევი დედის საგვარეულო საკუთრებას შეადგენდა და რადგანაც შვილს კოლნატური დამოკიდებულება ჰქონდა დედის გვართან, სამამულო ზითვის გასყიდვა და გაცემაც არ შეიძლებოდა. სამამულოს გაცემა მხოლოდ ერთის გზით შეეძლო ქვრივ დიაცსა,—ეს მაშინ, როცა სულის საცხონებლად მონასტერს შესწირავდა. ამ შესაწირავს აღბუღა კრძალვითა და მოწიწებით იხსენიებს—„თუ მონასტერთა შიგა შესწიროს, მას შვილნი ნუ ეცილებიანო“ (მუხ. პბ).

საყურადღებოა, რომ ყველგან სამამულოს შეწირვა სასულიერო წოდებას დაუწყებია. ძველ ინდოეთში იგი ბრამინებმა შემოიღეს, პირველად მათ შეახეს ხელი საგვარეულო მამულს და, რასაკვირველია, შეწირულსაც თითონ ჰხმარობდნენ [150]). ევროპასა და კერძოდ გერმანიაშიაც ასე მოხდა—მამულს მხოლოდ ეკკლესიასა და მონასტერს სწირავდნენ და სასულიერო წოდებაც უქადაგებდა, თუ რა დიდი რამეა შეწირვა [151]). ჩვენშიაც შეწირვა სასულიერო წოდებამ შემოიღო თავის სასარგებლოდ. პირველად ამ წოდებამ დაარღვია ის ძველი სამამულო წესი, რომელიც ადგენდა—მამული გვარის განუყოფელი საკუთრებაა და მისი გაცემა არ შეიძლებაო. უეჭველია, არც საქართველოს სასულიერო წოდება ასცდა ანგარებასა და, თუ აღბუღა ამბობს, სამამულოს შეწირვას შვილნი ნუ ეცილებიანო, სხვათა შორის, აქ ანგარებაც მოქმედობდა. სამამულოს შეწირვას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. ყველგან შეწირვა მაშინ გაჩენილა, როცა საგვარეულო წყობილება დაშლილა, და საათაბაგოს შეწირვაც გვიჩვენებს, რომ იქაც მამული გვარის ხელ-უხლებელი საკუთრება აღარ ყოფილა და საგვარეულო წყობილება მოსპობილა. ისტორია ამტკიცებს, სულ პირველად სასაქონლოს შეწირვა გაჩნდაო. ასეთს შეწირვას საათაბაგოშიაც ვპოვებთ (მუხ. როვ) და, რასაკვირველია, ჩვენშიაც იგი უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო, როგორც სხვაგან. სამართალი ამბობს, ვერც ამ შეწირვას შეეცილებიან შვილნიო...

სხვა იყო გლეხის ქალის ზითევი. იგი მხოლოდ სასაქონლოსაგან შესდგებოდა. ალბად ჩვეულება უკრძალავდა, ქალისათვის ზითევში მამული მიეცათ. და ან როგორ მისცემდნენ? გლეხს ხშირად საკუთარი მამული არა ჰქონდა და თუ ექნებოდა, ისიც ისე ცოტა, რომ ზითვად გაცემა საძნელო იყო. აღბუღა აწესებს, თუ დიაცი გლეხი უშვილო მოკვდეს, „ზითევი ნახევარი სულისა საურავად გაუშვან და ნახევარი სამშობლოსა მართებსო“ აქ „სულის საურავი“ სრულიად მიაგავს „მონასტერთა შიგა შეწირვასა“. როცა შვილოსანი მოკვდებოდა, მაშინ?—„აბჯარი ვაჟსა და საქონელი ქალსა“, მაგრამ, თუ მარტო ქალი დარჩეს, დედის ზითევი მთლად იმისიაო (მუხ. პგ).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

145) Первобытное Право, II, 137—140.

146) Р. Зомъ, стр. 300—1.

147) ibid. стр. 301—3.

148) რომისა და ბიზანტიის სამართალიც ამას ამბობდა, Зак. и Об. на Кав. I, стр. 137.

149) Первобытное право, II, 147.

150) Первобытное Право, I, 51.

151) Зак. и Об. на Кав., I, 206.

დიდი ლიტერატორი იყოს ადამიანი, მაგრამ ამასთან მეტად პაწია ჟურნალისტი, საუკეთესო მეცნიერი ჰბრძანდებოდეს და საუვარგისო მეგაზეთე.

2) ყველა წერილი ავტორის მიერ ხელ-მოწერილი უნდა იყოს და ფსევდონიმების მოწერა ისევე უნდა აღიკრძალოს, როგორც უსახელო პასკვილების წერაა აღკრძალული.

ეს რაღაა, ფსევდონიმს რას ერჩის, ან ღირს განა ამის შესახებ ლაპარაკი-კი? თუ წერილის დამწერი მართალია, ჭეშმარიტებას ჰლაღადებს პირითა თვისითა, განა სულ ერთი არ არის, პეტრე იქნება, თუ ოჰოპეტრე?!.

3) მკითხველმა საზოგადოებამ კარგად უნდა უწყოდეს სარწმუნოებრივი ვინაობა რედაქტორისა. ყველას შეუძლიან ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა, თუ პირველ მუხლში ჩამოთვლილი ხარისხი აქვს, ხოლო ყოველ ნომერს-კი ქვეშ თავისი სარწმუნოებრივი ვინაობაც უნდა მოაწეროს გვართან ერთად: რუსი ვარ, გერმანელი, ებრაელი და სხ.

არ გვესმის, სარწმუნოება რა შუაშია, როცა ლიტერატურაზეა ლაპარაკი. ებრაელი იყოს, თუნდა ჰოტენტოტი, თუ იმისი გაზეთი სჯობია მიმართულებითა და სიმართლის მოყვარეობით სხვა გაზეთს. აქ თვით საქმე უნდა ჰლაღადებდეს და არა ვინაობა ადამიანისა. მთელი წერილი ამ ჟურნალისა ზემოხსენებულისთანა ახირებულ მუხლით არის სავსე, „Практическая Жизнь“-ს ოცნებობა დაუწყია და სრულიად არა-პრაქტიკულ ღონისძიებათა გამორკვევისათვის იმტვრევს თავს. ვურჩევთ ჟურნალს, რომ იმისთანა აბანოში, სადაც იმას შესვლა არა ჰხამს, ნუ შევა და ნუ ებანება, რომ შემდეგ ძრთთოლა და ცახცახი არ დასჭირდეს.

## წვრილი ამბები

მართალია წელს ევროპის ყველა ადგილებში მალიან ცივი და აუტანელი ზამთარი დგას, მაგრამ წლევანდელი ზამთარი როგორ შეედრება იმ ზამთრებს, რომელთა გამოც ევროპის ისტორიული მემატიანენი იხსენიებენ. მაგალითად, 400—401 წელს ისეთი ცივი და სუსხიანი ზამთარი ყოფილა ევროპაში. რომ სულ ერთიანად გაუყინავს უმთავრესი მდინარენი ევროპისა რეინი, დუნაი და სხ., ვერ მორჩენილა გაყინვისაგან აგრეთვე შავი ზღვაც. 524 და 548 წლებში ისეთი ძლიერი სიცივე იყო თურმე ევროპაში, რომ ფრინველნი ფრენას ველარ ასერხებდნენ. წისქვილები აღარ მუშაობდა და ამის გამო ხალხში დიდი სიმშილობა ჩამოვარდნილა. 761 წელს ცხრა ადლამდე თოვლი დასდო და ყოველ გვარი მისვლა-მოსვლა შეჩერებული იყო. 763—674 წელს გაჰყინა გერმანიისა და საფრანგეთის ყველა მდინარე, შავი ზღვა და დარდანელის სრუტეც; ზღვებს იმ დროს ცხრა ადლზე მეტი სისქის ყინვა დაედო და გადნობის დროს სტამბოლის ქალაქის კედლებს ბევრ ალაგას ჩამოინგრა. 860 წელს მთელი ევროპა ექვსი თთვის განმავლობაში დაფარული იყო თოვლითა და ადრიატიკის ზღვაშიაც ყინულის გამო ხომალდთა მისვლა-მოსვლა შეუძლებელი გახდა. 974 წელს მემატიანეთა თქმულობით მძაფრისა და აუტანელი სიცივის გამო საფრანგეთის მკვიდრთა მესამედი ამოწყვეტილა, რასაკვირველია, ასეთი უბედურება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ დროში, როცა თავის თავის დაცვა და შენახვა არ იცოდნენ. 1010—1011 წელს ისეთი საშიშარი ზამთარი იდგა, რომ არა თუ ევროპა შეაწუხა ამ ზამთარმა, არამედ, ასე გასინჯეთ, დააზარალა აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილიცა, სადაც მდინარე ნილოსი ყინულმა დაჰფარა. 1179 წელს საფრანგეთში ზამთარმა ნოემბრიდამ პირველ მაისამდე გასტანა. 1210—1211 წელს ყინულით დაიფარა მდინარე პო და რონა. ამავე წლებში ყინულით მოცული იყო ადრიატიკის ზღვის არე-მარე ისე, რომ ვენეციის მახლობლად ამ ზღვაზე ეტლებით დადიოდნენ. 1234 წელს ისე ძლიერი ყინვები იდგა, რომ სარდაფებში ღვინო გაუყინავი არ გადარჩენილა, სიცივემ შინაურ ფრინველთა სინსილა გააწყო და ბევრი მაგალითი ისეთიც იყო, რომ ლოგინში სიცივის გამო ბავშვები ფიჩხდებოდნენ. 1322 წელს ბალტიის ზღვა ისე ძლიერად გაჰყინა, რომ დანიიდამ პომერანიაში მარხილებით დადიოდნენ. 1316 წელს პარიჟში ყველა ხიდი ყინულის ზვავმა დაანგრია. 1326 წელს ყინვამ ხმელთა შუა ზღვა დაჰფარა. 1365 წელს მდ. რეინი სამი თთვის განმავლობაში გაყინული იყო. 1407—1408 წელს გაიყინა შვეიცარიის ყველა ტბები და მდინარენი. 1420 წელს სიცივემ ისეთს საშინელებამდე მიაღწია, რომ პარიჟში ადამიანები იხოცებოდნენ და დაუმარხავი ლეში იმათი ქუჩებში ეყარა. მგლები მოდიოდნენ პარიჟში და შეექცეოდნენ ადამიანის ხორცს. 1558 წელს მდ. დუნაი გაჰყინა და ზედ მთელს მხედრობა ბანაკობდა. იმავე წელს საფრანგეთში ყინულად ნაქცევს ღვინოს ნაჭერ-ნაჭერად წონით ყიდდნენ. მეთვრამეტე საუკუნის სიცივეთა შესახებ უფრო ნამდვილი ცნობანი გვაქვს, რადგანაც ამ საუკუნეში ტერმომეტრი შემოიღეს. მაგალითად, 1709 წ. ზევრჯერ 24⁰ სიცივე ყოფილა. ამ წელში პარიჟში ღვინო გაუყინავს და ზარები დარეკვის დროს სქდებოდა თურმე.

— ამას წინად ინგლისის ერთს ქალაქში ახირებულად უთამაშნიათ ჭადრაკი, რომელშიაც ჭადრაკის სხვა-და-სხვა ქვების მაგიერობას ცოცხალი ადამიანები თურმე ასრულებდნენ. კაროლისა და კოროლევას როლს თამაშობდნენ ერთის მხრით ლორდი და ლორდის მეუღლე. დანარჩენი როლი ჰქონდათ მიდობილი იმათ შვილებსა და ნაცნობებს. ამ უცნაურს სანახაობას უთვალავი მაყურებელი დაესწრო და შემოსავალი საქველმოქმედო საქმეს მოახმარეს.

— რუმინიის დედოფალმა ინგლისში უკანასკნელად ყოფნის დროს დაათვალიერა ერთი ნემსის ქარხანა. ქარხნის ერთი მუშათაგანი მივიდა დედოფალთან და სთხოვა დედოფალს, მომეცი ერთი ბეწვი თმისაო. დედოფალმა არ იცოდა რაში იყო საქმე, გაიღიმა, გამოიძრო ერთი ბეწვი და მიაწოდა მუშას. მუშამ ეს ბეწვი მაშინვე მანქანაში ჩააგდო, გააკეთა იმისგან ნემსი, გაუყარა აბრეშუმის მაფი და მიართვა ეს ახირებული საჩუქარი განცვიფრებულს დედოფალს.

## დეპეშა

28 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის მმართველი პაზუხინი.

სამკურნალო დეპარტამენტმა სრულიად შეიმუშავა პროექტი სააფთიაქო საქონლის ვაჭრობისა. გადაწყვეტილია, რომ სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის ნება მიეცეს მხოლოდ პირველ გილდის ვაჭრებს; მეწვრილმანეებთან აღარ იყიდებოდეს ამ გვარი საქონელი; დაწესებულ იქმნას სასტიკი ზედამხედველობა და გამორკვეულ იყოს წესები; სასტიკად იქმნენ დასჯილნი ამ წესების დამრღვეველნი; სრულიად აღკრძალულ იქმნას ვაჭრობა ისეთს დაბებსა და სამაზრო ქალაქებში, სადაც მკვიდრთა რიცხვში 3,000 ნაკლებია. ამ პროექტთან ახალი ნიხრიც არის შემუშავებული.

29 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ საუზმეზედ ცხენოსანთ პოლკში დიდმა მთავარმა პავლე ალექსანდრეს ძემ წარმოსთქვა სადღეგრძელო ავსტრიის ერც ჰერცოგისა. სადღეგრძელოს დროს უკრავდნენ ავსტრიის საერო საგალობელს. ერც-ჰერცოგმა მიირთვა ხელმწიფე იმპერატორისა და ცხენოსანთ პოლკისა. ამ სადღეგრძელოს დროს დაუკრეს რუსეთის საერო საგალობელი. ერცჰერცოგმა და დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ ინახულეს პავლოვსკის პოლკი და მონადირეთა რაზმი, როცა სამხედრო ვარჯიშობაში იყვნენ გართულნი.

მადრასი. მემკვიდრე ცესარევიჩმა დაჰყო გუშინდელი დღე ტანჯურსა და ტრიხინოპოლში. დღეს დილით მისმა უმაღლესობამ ინახულა სრირანგანის ტაძარი, რომელიც ტრიხინოპოლის მახლობლად არის, საღამოს წაბრძანდა მანდურში.

ამსტერდამი. ოფიციალური დისკონტი დაიწია $3^1/_2$—$3^0/_0$-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 25 იანვარი.

| | მყიდველნი სა. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 88 | 6 91 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 137³/₈ | 138 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 236¹/₂ | — „ | — „ |
| —მეორისა | 224 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 215 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 102¹/₄ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 102¹/₄ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 95³/₄ | — „ | — „ |


## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება

წერა-კითხვის სამართველოს წიგნთსაცავში, ქართველთა წიგნების გამომცემელ წიგნის მაღაზიაში და ზ. ჭიჭინაძის მაღაზიაში

ანდერძი

ანტონ II საქართველოს კათოლიკოზისა, სურათით

გამოცემული

დ. ფურცელაძის მიერ

ფასი 30 კაპ.

(3—1)

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) კედლის კალენდარი 1891 წ., რომელიც შეიცავს საკალენდრო ცნობებს მართლ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და სომხეთა ეკლესიებისას, ცნობებს აგრეთვე საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიიდგან, ანგარიშს მზის ამოსვლა-ჩასვლისას და მთვარისას, საუკეთესო ადგილებს, ამოკრებილს დამკვირდიდგანა და ნაკვესებიდგან, შემოკლებულს ქართულს სამზარეულოს და ზოგიერს სასარგებლო ცნობას . . . . . „ 40

2) იგივე სტოლზე დასადგმელი შემკობილი სურათი . . . . . . . „ 80

3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით „ 80

4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . 1 25

5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15

6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . . . . . . „ 25

7) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . . . . . 1 „

8) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა . . . . . . „ 60

9) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . . . . . . „ 15

10) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა . . . . 1 „

11) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . . 3 50

12) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა . . . . . „ 50

13) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . . „ 50

14) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . „ 75

15) „მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა . . . . „ 20

16) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . „ 20

17) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV „ 60

18) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილებით. ხუსკივაძისა. . . . . „ 20

19) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. . . . . „ 20

20) „ძეგლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალისა“ ნ. ურბნელისა . . . . . „ 25

21) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა. „ 10

22) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . „ 20

23) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა. . . 40

24) ქანნა—დარკ . . „ 5

25) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . „ 5

ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1891 годъ

НА ЖУРНАЛЪ

# „ПРАКТИЧЕСКАЯ ЖИЗНЬ“

(II-й годъ изданія).

Журналъ „Практическая Жизнь“, оправдывая свое названіе, служитъ чуткимъ безпристрастнымъ откликомъ интересовъ современной дѣловой практической жизни. Редакція употребляетъ всѣ стремленія къ тому, чтобы всякій возникающій въ жизни практическій вопросъ нашелъ-бы на страницахъ журнала вѣрный себѣ отзывъ и возможно лучшее практическое разрѣшеніе.

Въ отдѣлѣ разсказовъ, сценъ, и проч. редакція всегда брала сюжеты изъ жизни дѣйствительной, даже почти всегда изъ самой были.

Достаточно упомянуть содержаніе статей послѣднихъ за этотъ годъ, 32 и 33 книжекъ, чтобы ясно увидѣть, *на сколько полно и всесторонне находитъ себѣ откликъ на страницахъ журнала современная жизнь*. Въ 32 и 33 книжкахъ были помѣщены слѣдующія статьи: „Мѣры къ подъему финансовъ“, „Бѣдный кредитный рубль!“, „На практическихъ началахъ“, „Міру по бичевѣ“, а сахарозаводчику двухмилліонный капиталъ“, „Новыя заслуги электричества“, „Русскіе піонеры“, „Столкновеніе интересовъ города и горожанъ“, „Популяризація свода законовъ“, „Гдѣ вы наши изобрѣтатели?“, „Не слишкомъ-ли много наградъ“? (по поводу нашихъ выставокъ), „О чемъ плачутъ нефтепромышленники“, „Къ развитію нашей торговли съ Персіей“, „Посредники хлѣбной торговли“, „Базарное зло“. Отдѣлъ Судебный. Библіографія и т. д. и т. д.

Стремясь къ улучшеніямъ журнала, редакція озаботилась приглашеніемъ многихъ новыхъ талантливыхъ сотрудниковъ.

Въ годъ выходитъ всего, исключая приложеній, 33 книжки.

**Въ будущемъ году предназначено къ разсылкѣ разныхъ книгъ подписчикамъ ВЪ ВИДѢ ПРИЛОЖЕНІЙ на сумму, по стоимости книгъ въ отдѣльной продажѣ, столько-же, какъ и въ 1890 г., именно на 12 р. 75 к.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

**съ доставкой и пересылкой**

безъ приложеній на полгода 3 рубля; на годъ 6 рублей; съ приложеніями на годъ 9 руб.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ, въ редакціи журнала, Б. Морская, № 39 и въ МОСКВѢ, на Тверской, уголъ Садовой, д. Хомяковыхъ.

Редакторъ-издатель **Ѳ. В. Езерскій.**


Тифлисъ, Дов. цен. 29-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.